

# საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

## თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების გზით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო. თვითმმართველობის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციას, საქართველოს უნივერსიტეტის წესდებას და მოცემულ დებულებას. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

#### მუხლი 2.

1. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია, თავისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
2. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სტუდენტური თვითმმართობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული მიზნებისა.
4. სტუდენტური თვითმმართველობის არსებობის ვადა განუსაზღვრელია.
5. სტუდენტური თვითმმართველობა პასუხს არ აგებს თავის წევრთა ქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის სტუდენტურ თვითმმართველობასთან.
6. სტუდენტურ თვითმმართველობაში წევრთა რაოდენობის ცვლილება გავლენას არ ახდენს მის არსებობაზე.

### მუხლი 3.

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტება:

- ა) უნივერსიტეტი - საქართველოს უნივერსიტეტი;
- ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.
- გ) სტუდენტური თვითმმართველობა - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო.
- დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - საქართველოს უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, როელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებასა და სასწავლო პროცესს.

## თავი II

### სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

### მუხლი 4.

წინამდებარე დებულების თანახმად სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- ა) უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას თითოეული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.
- გ) შეარჩიოს შესაბამისი წარმომადგენლები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში.
- დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს.
- ე) განახორციელოს წინამდებარე დებულებითა და კანონით მისთვის დასაშვები უფლებამოსილებები.

### თავი III

#### სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილებები

##### მუხლი 5.

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- ა) იცავს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
- ბ) სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამისი სკოლის წარმომადგენლის კანდიდატურას.
- გ) თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებს უმაღლესი სასწავლებლის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში.
- დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და სკოლის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრობლემების რეგულირების შესახებ.
- ვ) პერიოდულად სხვადასხვა მეთოდებით აფასებს აკადემიური პერსონალის მუშაობას.
- ე) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.

##### მუხლი 6.

თვითმმართველობის დაფინანსების წყარო:

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი.
2. მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.
3. დონორებისგან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი.
4. ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსული თანხები.

## თავი IV

### სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო

#### მუხლი 7.

1. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტური თვითმმართველობის წევრებისგან.
2. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ;
3. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების ჩატარების თარიღის შესახებ, თვითმმართველობის წევრებს უნდა ეცნობოთ კრების ჩატარებამდე 1 კვირით ადრე;
4. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
5. თვითმმართველობის კრებას ნიშნავს თვითმმართველობის პრეზიდენტი (პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში - ვიცე პრეზიდენტი). საერთო კრება განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს მომავალი კვირის (კვირების) განმავლობაში;
6. კრებამ უნდა განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები, რომელსაც მას წარუდგენენ თვითმმართველობის წევრები ან მესამე პირები;
7. კრება, საჭიროების შემთხვევაში, ქმნის დროებით კომისიას (კომისიებს), რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვის შემდეგ;
8. კრებამ თვის ბოლოს უნდა მოისმინოს პრეზიდენტის ანგარიში გაწეული სამსახურის შესახებ;
9. კრება უფლებამოსილია მიიღოს დებულება და შეიტანოს ცვლილებები მასში დელეგატთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
10. წესდების გადახედვის ინიციატივის წამოყენების უფლება აქვს სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს.

## თავი V

### სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა

#### მუხლი 8.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის არჩევნების წესით თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი. მისი უფლებამოსილების ვადა იწყება მისი არჩევის მომენტიდან და განისაზღვრება 2 წლით.
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი.
3. თვითმმართველობის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც ადმინისტრაციაში უკავია თანამდებობა.
4. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება ძალაში შედის ახლადარჩეული თვითმმართველობის პირველი შეკრებისთანავე.

#### მუხლი 9.

თვითმმართველობის წევრის უფლებები:

- ა) თვითმმართველობის წევრი მონაწილეობს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში.
- ბ) მას აქვს სათათბირო ხმის უფლება.
- გ) უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შემუშავებაში ან თავად შეიმუშაოს პროექტები.
- დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია თვითმმართველობის საქმიანობისა და მისი სტრუქტურის შესახებ.

#### მუხლი 10.

თვითმმართველობის წევრის მოვალეობები:

- ა) შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი, ერთობა და ქონება.

- გ) ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- დ) დაესწროს თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს.

## **მუხლი 11.**

თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები:

- ა) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა.
- ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა.
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება.
- დ) მობილობის წესით სხვა უნივერსიტეტში გადასვლა.
- ე) თვითმმართველობის წევრთა სიითი უმრავლესობის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, თუ იგი უხეშად არღვევს უნივერსიტეტის ან სტუდენტური თვითმმართველობის წესდებს, გულგრილად ეკიდება და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ხელს უშლის თვითმმართველობის ფუნქციონირებას.
- ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობისა, გარდაცვალების და უგზოუკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში.
- ზ) არასაკმაყოფილო მიზეზით ზედიზედ 3 ჯერ არ გამოცხადდა თვითმმართველობის ოფიციალურ შეკრებაზე.

## **თავი VI**

### **თვითმმართველობის არჩევნები**

## **მუხლი 12.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ უფლებამოსილების ამოწურვის კალენდარული წლის მაისში. არჩევნების თარიღს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი თვითმმართველობის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 1 თვისა.
2. თვითმმართველობის არჩევნების თარიღი, მისი ჩანიშვნისთანავე, საჯაროდ ცხადდება თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე:  
(<https://www.facebook.com/selfgovernmentUG?fref=ts>).
3. არჩევნების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არჩევნებში არ გამოვლინდა გამარჯვებული და დაინიშნა მეორე ტური.

მეორე ტური ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში ვერც ერთი პარტია ვერ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას.

4. კანდიდატი პარტია არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა უმრავლესობა (50%-ს პლუს ერთი ხმა). მეორე ტურში იმარჯვებს ის კანდიდატი პარტია, რომელიც დააგროვებს უფრო მეტ ხმას. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში ინიშნება ხელახალი არჩევნები არაუგვიანეს 10 დღისა.

4<sup>1</sup>. თვითმმართველობა კომპლექტდება მიღებულ ხმათა პროპორციულად. თუ კანდიდატი პარტია დააგროვებს ხმათა 10%-ზე ნაკლებს იგი ვერ შევა თვითმმართველობაში. 10%-ის შემთხვევაში პარტია წარმოდგენილი იქნება ერთი წევრით.

5. საარჩევნო დღე იხსნება 9 საათზე და იხურება 19 საათზე.

6. არჩევნების შედეგები საჯარო უნდა გახდეს, არჩევნების დღის დახურვიდან არაუგვიანეს 72 საათისა. საჩივრები არჩევნებთან დაკავშირებით დაიშვება საარჩევნო დღის დახურვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

7. მოქმედი თვითმმართველობის წევრთა უფლებამოსილება წყდება, ახლად არჩეული თვითმმართველობის წევრთა პირველი შეკრებიდან. ახლადარჩეული თვითმმართველობის წევრთა პირველ სხდომას ნიშნავს და ხსნის მოქმედი თვითმმართველობის პრეზიდენტი. პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში - პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ან ვიცე-პრეზიდენტი.

8. თვითმმართველობის პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს ახალი თვითმმართველობის წევრთა პირველი შეკრებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა თვითმმართველობის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

### **მუხლი 13.**

1. სტუდენტურ თვითმმართველობად შეიძლება აირჩეს სტუდენტური პარტია, რომელიც შედგება არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 წევრისა. პარტია უნდა შედგებოდეს თითოეული სკოლის არანაკლებ ერთი წარმომადგენლისგან, არანაკლებ ერთი უცხოელი სტუდენტისგან და არანაკლებ 3 მდებრობითი სქესის სტუდენტისგან.

2. კანდიდატმა პარტიამ არჩევნებამდე, არაუგვიანეს 15 დღისა, არჩევნებში რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს თავისი პარტიის წევრთა ნუსხა და 300 სტუდენტის ხელმოწერა. ხელმოწერების შეგროვება ხდება თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული ფორმით.

3. თუ თვითმმართველობის არჩევნებში არ დარეგისტრირდა არცერთი პარტია, მაშინ არსებულ თვითმმართველობას უფლებამოსილება ავტომატურად უხანგრძლივდება ხელახალი ვადით.

3<sup>1</sup>. კანდიდატ პარტიას არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების დღესვე და არაუგვიანეს შემდეგი დღისა, შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა სხვა პარტიის სასარგებლოდ.

#### **მუხლი 14.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს თვითმმართველობის ნებისმიერი წევრი, თვითმმართველობის პრეზიდენტად ერთი და იგივე სტუდენტი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.
2. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა მიერ 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.
3. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც დააგროვა ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა; იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

#### **მუხლი 15.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებები:
  - ა) ხელმძღვანელობს თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;
  - ბ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
  - გ) იწვევს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს სხდომებს;
  - დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
  - ზ) იწვევს თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას.
2. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე წყდება:
  - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
  - ბ) უმაღლეს სასწავლებელში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში;
  - გ) ქმედითუუნაროდ გამოცხადების ან შეხვედრების არასაპატიო მიზეზით რეგულარული გაცდენის შემთხვევაში;
  - დ) წესდების ან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტისათვის აუცილებელია სტუდენტური თვითმმართველობის წევრების სიითი შემადგენლობის 70%-ის თანხმობა.



3. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ათი დღის განმავლობაში აირჩევა ახალი პრეზიდენტი (ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მის უფლებამოსილებას შეითავსებს სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი).

## თავი VII

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 16.

1. მოცემული დებულებით უქმდება წინა დებულება.
2. დებულებაში ცვლილები შედის თვითმმართველობის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით. ცვლილების შესახებ წინადადება შესაძლებელია მომზადდეს არანაკლებ თვითმმართველობის 5 წევრის ინიციატივით.
3. თვითმმართველობის მისამართია კოსტავას 77 ა.
4. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია გააუქმოს მოცემული წესდება თუ მას აღარ შეუძლია თვითმმართველობის აქტიურ მუშაობაში წვლილის შეტანა.

30/4/2015